პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 6 აგვისტო 1925 წ.

წლიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

175 (873) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## გულმოდგინეთ ემზადე ალლუმებისათვის.

საბანაკო პერიოდი სრულდება ალლუმებით. მთელ საზაფხულო მუშაობასა და სწავლებას უკეთდება ჯამი. ალლუმი დაგვანახებს, თუ როგორი წარმატებით მუშაობდა ბანაკობის დროს ესა თუ ის ნაწილი, ესა თუ ის წითელ-არმიელი. ის არის ვსთქვათ ერთგვარი გამოცდაა, რომელიც ბრწყინვალედ უნდა ჩააბაროს თითეულმა მებრძოლმა.

ამისთვის კი საჭიროა უფრო ენერგიულად მეცადინეობისათვის ხელის მოკიდება და გაძლიერებული მუშაობა. თითეულ მებრძოლმა მიზნად უნდა დაისახოს ჩინებულად ჩააბაროს სამხედრო და პოლიტიკური მომზადების გამოცდები. არ უნდა დავივიწყოთ რომ მომავალ ალლუმების მნიშვნელობა უფრო ძლიერდება იმ გარემოებით, რომ მათი დასრულების შემდეგ დაიწყება წითელ-არმიელთა უვადო შვებულებაში წასვლა.

ამრიგად ხსენებული ალლუმები ჯამს გაუკეთებენ არა თუ მარტო ამ ზაფხულის მუშაობას, არამედ საერთოდ მთელ სამხედრო და პოლიტიკურ სწავლებას იმ წითელ-არმიელებისას, რომლებიც შემოდგომაზე წავლენ წითელ ჯარიდან.

ყოველივე ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს თითეულ მებრძოლმა. წითელ ჯარის რიგებიდან ის სათანადოთ მომზადებული უნდა წავიდეს, რომ საფრთხის დროს მას თამამად შეეძლოს მუშურგლეხური რესპუბლიკის ინტერესების ღირსეულად დაცვა. ამას კი ის შესძლებს მხოლოდ ენერგიული და მუყაითი სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობით წითელ ჯარში.

ალლუმების დროს უფრო გაღრმავებულ უნდა იქმნას სოფელთან კავშირი. წითელარმიელებმა თავისი ამხანაგური, ძმური მოპყრობით ხელი უნდა შეუწყონ ამ კავშირის მეტ განმტკიცებას.

უნდა ვეცადოთ, რომ ალლუმების დროს ადგილი არ ექნეს არავითარ ისეთ საქციელს წითელ არმიელთა მხრივ რომელმაც ოდნავ დაჩრდილოს სოფელთან კავშირი.

პირიქით ყოველივე ღონისძიება, ვიხმაროთ, რომ ბანაკში ყოფნის უკანასკნელ მომენტამდე ეს კავშირი უფრო ღრმავდებოდეს და ძლიერდებოდეს.

ასეთია მომავალი ალლუმების ამოცანები, რომლებიც შესრულებულ უნდა იქმნას ასი პროცენტით.

## საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო.

„იზვესტიას" წერილი.

გაზ. „იზვესტია" მოწინავე წერილში ეხება საგარანტიო ხელშეკრულებას, მოჰყავს ნაწყვეტები გერმანიის სოციალ-დემოკრატების „ლეიპციგის სახალხო გაზეთიდან" და კონსერვატორების ორგანო „კრეიზ ცეიტუნგიდან", რომლებიც აღნიშნავენ, რომ საგარანტიო ხელშეკრულება ბოლოს და ბოლოს მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგო და სწერს:

„მაგრამ თუ რომ გერმანიის ბურჟუაზიული პარტიები დარწმუნებული არიან, თუ რამდენად ინგლისი დაინტერესებულია ხელშეკრულების გატარებაში, იმდენად ის ყველა ძირითად საკითხებში იძულებული იქნება მხარი დაუჭიროს გერმანიას საფრანგეთის წინააღმდეგ და ამრიგად გერმანია შესძლებს შეიძინოს დიდი კაპიტალი ინგლის-რუსეთის უთანხმოებაზე,—ჩვენ ვფიქრობთ: რომ ამჟამად ლონდონსა და პარიზს შორის წარმოებული მოლაპარაკება შტრეზემანის პასუხის შესახებ ბრიანის ნოტაზე, დაარწმუნებს გერმანიას იმაში, რომ საქმე არც ისე უბრალოდაა. ამ მოლაპარაკების ცენტრალური ადგილი— ეს არის საკითხი,—გადასჭრის თუ არა მას მარტო საფრანგეთი, აძლევს თუ არა მას გერმანიის ესა თუ ის ნაბიჯი (მიმართული პოლონეთის წინააღმდეგ) ჩარევის უფლებას, თუ ამის შესახებ საკითხს გაარჩევს ერთა ლიგა.

გასაგებია, ინგლისი მოითხოვს რომ საფრანგეთმა უარი სთქვას ერთსა და იმავე დროს პოლონეთის გარანტობასა და მომრიგებელ მოსამართლეობაზე პოლონეთსა და გერმანიას შორის.

თუ რომ საქმეს გაარჩევს ერთა ლიგა, იმ შემთხვევაში მომრიგებელი მოსამართლე საფრანგეთს, გერმანიასა და პოლონეთს შორის იქნება ინგლისი. საფრანგეთზე ზეგავლენისთვის ინგლისელებმა წინ წამოაყენეს საკითხი საფრანგეთის ვალების შესახებ ინგლისისადმი.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საფრანგეთი საბოტაჟს გამოუცხადებს საგარანტიო ხელშეკრულებას, იმ შემთხვევაში ინგლისი მოსთხოვს მას ანგარიშს სამხედრო ვალების შესახებ. მაგრამ არამც თუ მარტო ინგლისს შეუძლია ამ მხრივ დაემუქროს საფრანგეთს, ესევე შეუძლია საფრანგეთსაც ინგლისის მიმართ. საფრანგეთმა კიდეც ჰქნა ეს, როცა მან დაიკავა ჩინეთში ინგლისის საწინააღმდეგო პოზიცია. ინგლისის წინააღმდეგ მიმართული დიპლომატიური კომისიის მოხსენება, რომელიც ირკვევდა შანხაის ამბებს, მიღებულ იქნა საფრანგეთის ელჩის პატრონატის მიერ.

ეხლა ლონდონში მიდის ვაჭრობა საფრანგეთის პოზიციის შეცვლის შესახებ ჩინეთში.

მთელი საკითხი იმაშია, თუ ვინ იქნება უფრო მეტი ხურდა ფული, ჩინეთი თუ გერმანია?"

# ახალი რადიო-ამბები

## ბურჟუაზიული პრესა შფოთავს.

ინგლისის მთელი ბურჟუაზიული პრესა სასტიკად ილაშქრებს ნახშირის სამრეწველოებში შეთანხმებების წინააღმდეგ.

„დეილიმეილი" აცხადებს, რომ 31 ივლისი,—როცა დადებულ იქნა შეთანხმება,—წარმოადგენს „შანტაჟის დღეს."

„მანჩესტერ გარდიენი" წინასწარმეტყველობს, რომ პარლამენტის წევრთა მომეტებული ნაწილი აჯანყდება ბალდუინის წინააღმდეგო.

## კუკი სამთომადნო მუშათა მდგომარეობის შესახებ.

ინგლისის სამთო-მადნო მუშათა დემონსტრაციაზე კუკმა განაცხადა, რომ „ნახშირის სამრეწველოებში მდგომარეობა მანამ არ მოგვარდება, სანამ სამუშაო ხელფასი არ დააკმაყოფილებს საარსებოდ საჭირო მცირე მოთხოვნილებებს."

## ხიგს აწვალებს ზინოვიევის აჩრდილი.

ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯოინსონ ხიგსმა თავის საჯარო სიტყვაში განაცხადა, რომ არც სამთომადნო მუშებსა და არც მრეწველებს იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ მათ შეინახავენ ხალხის ხარჯზე.

შემდეგ ხიგსმა განაცხადა: „ჩვენ კიდევ უარესი რამ გვიქადოდა, რომელიც სრულიად დაარღვევდა ჩვენს მრეწველობას. ჩვენ კიდევ ვერ გავთავისუფლდით იმ ხალხთა საქმიანობიდან, რომლებიც ახლო კავშირში იმყოფებიან მოსკოვთან, როგორც მაგ. კუკი და პერსელი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ზინოვიევს დღემდისაც მჭიდრო კავშირი აქვს ინგლისის ზოგიერთ წრეებთან და ყოველმხრივ სცდილობს გაგვანადგუროს და დაანგრიოს ბრიტანეთის იმპერია".

შეკითხვაზე—ინგლისს უნდა განაგებდეს პარლამენტი თუ პროფკავშირთა ერთი მუჭა ლიდერები,—ჯონსონმა უპასუხა: „უახლოეს 6 თვის განმავლობაში ჩვენ პირის-პირ წარვსდგებით ამ საკითხთან".

## ინგლისის საქონელზე ბოიკოტის შედეგები.

**ჩინეთში მოელიან სამოქალაქო ომს.**

„დეილი ექსპრესი"-ს კორესპონდენციის ცნობის თანახმად ინგლისის მრეწველები ჩინეთში დაჟინებით მოითხოვენ ინგლისის მთავრობისაგან პეკინში მყოფ დიპლომატიური წარმომადგენლობის შეცვლას.

კორესპონდენტი იტყობინება, რომ ჩინეთის ბაზარს მიაქვს მხოლოდ ინგლისის საქონლის 20 პროც., რომელიც წინად სავსებით საღდებოდა ჩინეთში.

კორესპონდენტის სიტყვით, ჩინეთში ახლო მომავალში მოელიან სამოქალაქო ომს.

## ბრძოლა მაროკოში.

ჰავასის სააგენტო იტყობინება რაბატიდან, რომ საფრანგეთის მფრინავმა რაზმებმა დიდი ოპერაცია აწარმოეს აჯანყებულთა რაიონების ასაღებად და იერიში მიიტანეს მათზე აჯენის მაღლობზე.

აჯანყებულები დაიბნენ და უწესრიგოდ დაიხიეს. მათ დაჰკარგეს 60 კაცი.

## საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაასრულა გერმანიის ნოტის პასუხის პროექტი საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრიანმა აცნობა ჩემბერლენს თავისი განზრახვა ლონდონში მისვლის შესახებ 5 აგვისტოსთვის საპასუხო ნოტის შეერთებულად განსახილველად.

## მოხამერის მღელვარების შესახებ.

ამას წინად მოხამერში (სპარსეთში) მოხდა მღელვარება სპარსეთის მთავრობის წინააღმდეგ.

„დეილი ექსპრესი" აღნიშნავს, რომ ამ ღელვარების მიზეზი თვით სპარსეთის მთავრობააო. სპარსეთის მთავრობამ აღუთქვა არ მიაყენებდა რაიმე ზიანს მოხამერის შეიხს (მთავარს), მაგრამ იმავე დროს საბაბი მისცა იჭვებს, რომ შეიხი ტყვედ იმყოფება თეირანშიო. მოხამერში გავრცელდა ხმები, რომ შეიხი მოკლულიაო და სწორედ ეს იყო მიზეზი არაბების თავდასხმისა სპარსელებზე.

## გლეხინტერნის მოწოდება.

გლეხთა ინტერნაციონალი მოწოდებით მიმართავს მსოფლიო ომის მე-11 წლის თავზე ყველა ქვეყნების გლეხობას, ახასიათებს კაპიტალისტურ ქვეყნების მიერ წარმოებულ პოლიტიკას, მათ ბრძოლის სამზადისს და მოუწოდებს გლეხობას გამოვიდენ მუშათა კლასთან ერთად კაპიტალისტური ომისა და ჩაგვრის წინააღმდეგ.

მოწოდება თავდება შემდეგი სიტყვებით: „ძირს იმპერიალისტური ომი, მთელი ძალაუფლება მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს".

## ევროპის კომკავშირის კონფერენცია.

ახალგაზრდა კომკავშირის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება დელეგაციის, რომელიც დაბრუნდა ბერლინიდან, სადაც ის დაესწრო ევროპის ახკომკავშირის კონფერენციას.

კონფერენცია ჩატარდა არალეგალურად. დაესწრო ინგლისის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხო-სლოვაკიის, იტალიის, ავსტრიის, შვეიცარიის, ჰოლანდიის, პოლონეთის, ბალკანეთისა და სკანდინავიის ფედერაციის წარმომადგენლები.

კონფერენციამ განსაზღვრა საერთაშორისო ახალგ. მოძრაობის ხაზი და პრაქტიკული დარიგებები ახკომინტერნის ყველა სექციებისთვის.

კონფერენციამ სრული ერთსულოვნებით დაადგინა მიიღონ ყოველგვარი ღონისძიება იმპერიალისტური ომის თავიდან ასაშორებლად.

## მაკდონალდის განცხადება.

დამოუკიდებელ მუშათა პარტიის საზაფხულო სამოსწავლო კურსებზე გამოსვლის დროს მაკდონალდმა გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა ქვანახშირის საკითხში.

მან განაცხადა: „უკანასკნელ ხანებში მთავრობამ შეიცვალა ფრონტი დასთანხმდა რა სუბსიდიების (დახმარება) მიცემაზე.

მთავრობამ მისცა ამით საბაბი თავის გამარჯვებაზე ლაპარაკის იმ წრეებს, რომლებიც არიან ყველაზე დიდი მტრები გონივრულად და კარგად მოფიქრებული სოციალიზმის. მთავრობამ ხელი შეუწყო ამით ინგლისის რეაქციის ტალღებით შეპყრობას.

საერთოდ მთავრობა ორ მთავარ—რუსეთთან დამოკიდებულების და ქვანახშირის მრეწველობის კრიზისის საკითხში, თუ სიტყვით არა, ფაქტიურად და არსებითად დადგა ველურ ბოლშევიკების პოზიციაზე.“

## პოლიციის შეტაკება უმუშევრებთან.

**სამუშაოს მაგივრად ციხე.**

იოკოგამაში (იაპონიაში) მოხდა შეტაკება პოლიციასა და უმუშევართა დემონსტრაციას შორის, რომლებიც მოითხოვდენ პურსა და სამუშაოს.

დემონსტრანტები მოდიოდენ რევოლიუციონური სიმღერით.

დააპატიმრეს ბევრი უმუშევარი.

# საბჭოთა კავშირში

## სამხედრო აკადემიამ გამოუშვა 250 მეთაური.

გუშინ, 5 აგვისტოს სამხედრო აკადემიამ გამოუშვა 250 მეთაური, რომლებმაც მიიღებს სერიოზული სამხედრო-სამეცნიერო მომზადება.

საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს თამჯდომარე ფრუნზე წითელი არმიის სახელით ესალმება ახალ მეთაურებს და გამოსთქვამს რწმენას, რომ აკადემიელთა ახალი ცვლა საპატიო თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს მუშურ-გლეხური რესპუბლიკის სამხედრო ძლიერების მშენებელთა შორის.

## იაპონიისა და ოსმალეთის ელჩები ამხ. რუძუტაკთან.

რუძუტაკმა მიიღო იაპონიის ელჩი ტანაკა, რომელმაც წამოაყენა საკითხი პირდაპირი მიმოსვლის შესახებ საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის.

რუძუტაკმა მიუთითა, რომ საკითხი პირდაპირი მიმოსვლის შესახებ გადაჭრილ იქნება განსაკუთრებული იაპონია—საბჭოთა სარკინისგზო კონფერენციის მიერ, რომლის მოწვევაც გათვალისწინებულია ახლო მომავლისთვის.

რუძუტაკმა მიიღო აგრეთვე ოსმალეთის ელჩი ზეკია-ბეი, რომელიც დაინტერესებული იყო საბჭოთა კავშირის რკინის გზებითა და ტარიფებით.

## გერმანიის დელეგატების წერილი.

გერმანიაში დაბრუნდა დელეგაციის ერთი ჯგუფი, რომელმაც წასვლისას გადასცა პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმს წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩვენ დავრწმუნდით, რომ ბურჟუაზიის ცნობები საბჭოთა რეჟიმის შესახებ მტკნარი სიცრუეა. ჩვენ ბედნიერად ვსთვლით თავს, რომ გავიგეთ სიმართლე საბჭოთა რუსეთის შესახებ. ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა წითელი არმიის დათვალიერებამ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ წითელი არმია არამც თუ თქვენი დამცველი იარაღია, არამედ კლასობრივი ინსტრუმენტი მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისთვისაც.“

## რემედასის წევრთა მიტინგი.

3 აგვისტოს მოსკოვში, კავშირთა სახლში გაიმართა რემედასის წევრთა მიტინგი აღმოსავლეთის მშრომელთა დაახლოების ნიშნის ქვეშ.

მიტინგმა გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია ლანცუცკის გასამართლების, ტერორის წინააღმდეგ, მიესალმა ჩინეთის გაფიცულ მუშებსა და რიფების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. მიტინგს დაესწრო 800 კაცი.

## ექსპედიცია ახალი მიწისაკენ.

4 აგვისტოს ლენინგრადიდან არხანგელსკში გაფრინდა იუნკერსის ორი ჰიდროპლანი.

არხანგელსკში ორივე ჰიდროპლანები შევლენ ჩრდილოეთ საგეოგრაფიო ექსპედიციის უფროსის მატუსევიჩის განკარგულებაში.

## ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობა.

გაიხსნა ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობა. ბაზრობის კომიტეტმა მიიღო მისალოცი დეპეშები საფრანგეთის ელჩის ერბეტისა და იტალიის ელჩის მანცონისაგან.

## მატარებლების დამსხვრევა.

4 აგვისტოს გათენებისას სადგურ ჯუმათთან დაიმსხვრენ სამარშრუტო მატარებლები, რასაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი.

თბილისიდან მიმავალი მატარებელი სად. ჯუმათში დაეჯახა საბარგო მატარებელს, რომელიც შესდგებოდა 80 ცარიელ ვაგონიდან. დაჯახების დროს ლიანდაგიდან გადავარდა ნახევარზე მეტი ვაგონები. ორივე ორთქმავალი და უკანა მატარებლის წინა ნაწილი ძალიან დაზიანდა. ლიანდაგი გაფუჭდა 50 საჟენის მანძილზე. მოკლულია 5 მგზავრი მძიმედ დაჭრილია რამდენიმე კაცი მატარებლის ბრიგადიდან. ფიქრობენ, რომ ნამსხვრევებში კიდევ იქნება აღმოჩენილი მსხვერპლი.

მატარებლის მიმოსვლა შეწყდა. სწარმოებს კვლევა-ძიება კატასტროფის მიზეზის გამოსარკვევად.

## სამხედრო საქმე

### ადგილ-მდებარეობის დაზვერვა.

ზვერვა არაა რთული საქმე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია. მისი მნიშვნელობა და აუცილებლობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ ხშირად ვედობებით დაბრკოლებას ზვერვის ამა თუ იმ ამოცანის გადაჭრის დროს.

დავიწყოთ იქედან და განვიხილოთ, თუ რომელ ნაწილს შეუძლია აასრულოს ზვერვის ამოცანები. თოფ-ტყვიამფრქვევის და მსროლელთა ათეულს უკვე დამოუკიდებლად შეუძლია აასრულოს საზვერაო ან სათვალთვალო ამოცანა და აი როგორ.

მზვერავები უნდა იყვნენ მოძრავი, უნდა გადადიოდენ ადგილიდან ადგილზე, უნდა მოქმედებდენ ახლო მანძილზე თავისი დიდი ნაწილიდან (განყოფილებიდან), არ უნდა სწყდებოდენ ბაზას შორსა და დიდი ხნით. თუ ჩვენ ავიღებთ თოფ-ტყვიამფრქვევისა და მსრ. განყოფილებას, ის სწორად აკმაყოფილებს ამ მხრივ ამ მოთხოვნილებებს. მართლაც ამ ორ განყოფილებას ბრძოლაში შეუძლია ან შეტევაზე გადავიდეს როგორც მებრძოლ ერთეულს, ან მოგერიება აწარმოოს როგორც ცეცხლის წერტმა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს განყოფილებები მოქმედებენ სხვა ასეთსავე ერთეულებთან კავშირში, ე. ი. ოცეულის შემადგენლობაში.

ასრულებენ რა საზვერავ ამოცანას, ეს ორი ათეული არ უნდა ჩაებან ბრძოლაში, რათა არ გაამჟღავნონ თავი და თავისი ამოცანა.

შეიარაღების კომპლექსის გამო, მათ მართლაც არ შეუძლიათ ბრძოლის წარმოება, მაგრამ—არც შეხლაზე (მცირე) უარის თქმა, რადგანაც ხელთ აქვთ თოფი-ავტომატი.

ეხლა ვნახოთ, თუ როგორ ასრულებენ ასეთი მზვერავები საზვერაო ამოცანებს სხვადასხვა საბრძოლო გარემოებაში.

მაგრამ საჭიროა ეხლავე აღვნიშნოთ, ერთი მეტად დამახასიათებელი მომენტი ქვეითთა მიერ ზვერვის წარმოებაში საზოგადოდ.

ეს არის ქვეით მზვერავთა სიგვიანე მოძრაობაში, ზვერვაძიებაში და შედეგების დასმენაში. ამიტომ დაუშვებელია მზვერავებს მიეცეს ფართე და ღრმა ზოლის გაშუქების ამოცანა. ოფიციალურ სახელმძღვანელოდ მიღებულია, რომ „მზვერავებს შეუძლიათ გააშუქონ ზოლი განით ნახევარ კილომეტრამდის“.

ეხლა განვსაზღვროთ, როგორი იქნება საზვერავი ზოლი ჩვენი მზვერავებისთვის და როგორ მოეწყობა ამ ზოლზე ჯგუფი.

წარმოვიდგინოთ ღია ადგილი, მზიანი, კარგი დღე; მტერი მოსალოდნელია ახლოს იყოს.

მზვერავთა ჯგუფში შედის ცხრა კაცი: უფროსი, მეტყვიამფრქვევი, ორი ვაზნების მიმტანი, და ოთხი მსროლელი. როგორ მოეწყობა აქ და მოძრაობის რა წესს მიიღებენ მზვერავები.

მზვერავთა უფროსი მიუთითებს და აძლევს ამოცანას. ის ღებულობს ზომებს, ხელმძღვანელობს მზვერავებს და აძლევს მიმართულებას. მაშასადამე მისი ადგილი იქ არის, საიდანაც უფრო მოხერხებული იქნება მისთვის განკარგულება გასცეს, საიდანაც ის ყველა თავის მზვერავებს დაინახავს.

(დასასრული შემდეგ).

გ—გ.

## ტერნაწილების ცხოვრება და მუშაობა.

### მეხუთე ქართული ტერლეგიონი.

ჯარის რიგებში გამოცხადდა 1902 წ. დაბადებულ ცვალებად არმიელთა ასივე პროცენტი.

ამჟამად ცვალებადელები გადიან სწავლების მე-6 კვირას. მიუხედავად უმცროს მეთაურთაგან მასწავლებლების სიმცირისა, სწავლების შედეგები მაინც შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

ტაქტიკურ მეცადინეობას გადიან მინდვრად ათეულების სამოქმედო ამოცანების გადაჭრით, თანახმად თანამედროვე ჯგუფური ტაქტიკის მოთხოვნილებისა; უმთავრესად, ჯერჯერობით მეცადინეობა მიზნად ისახავს ტეხნიკურ გამოცდილების გამომუშავებას მეომრებში.

წასულ კვირაში დამთავრდა დაწყებითი სროლის კურსი (ექვსი ვარჯიში), რომელმაც კარგი შედეგები მოგვცა. სროლის პირობების ამსრულებელთა რიცხვი 90 პროცენტს უდრის ვარჯიშის გამვლელთა ას პროცენტში.

ამრიგად ეს პროცენტი საუკეთესო მაჩვენებელია იმის, თუ რა კეთილსინდისიერად ეპყრობოდენ ახალწვეულები სწავლებასა და მასწავლებლებს.

მომავალ კვირაში განზრახულია ტყვიამფრქვევის სროლის კურსის დაწყება.

სამეურნეო მხრივ შეკრება ტარდება აგრეთვე დამაკმაყოფილებლად.

ცვალებადელთა სადგომი ბინები კარგი მოწყობილია: თვითეულ მეომარს აქვს ნარი, ლეიბი, საბანი და სხვა.

ტანისამოსის მხრივ, გარდა იმისა, რომ ყველა მომარაგებულია სრულად, კიდევ აქვთ თითო კომპლექტი მარაგი ეგრედ წოდებულ „სადღესასწაულო“ ანუ „გამოსასვლელ“ ტანისამოსი.

საჭმელი გემრიელია. საჭმელის სახე შეფარდებულია გამოწვეულთა ყოფა ცხოვრების თავისებურებასთან.

ეს გარემოება საშუალებას იძლევა დამზადებულ იქნას სხვა და სხვა ნაირი საჭმელები მაგალითად: პირველი კერძი—სუპი, მეორე—სოუზი ხორცით; პირველი—ლობიო, მეორე—ბრინჯის ქაში შაქრით, ქიშმიშით და სხვა.

დღესასწაულებზე კეთდება სადილი სამ კერძად, მაგალითად: სუპი, სოუზი და ტკბილი კერძი ხილეულობისგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კვების შედეგად ცვალებადელები ფიზიკურად გამოჯანსაღდენ.

აბანო, რეცხვა და სხვა ჰიგიენური პირობები მოგვარებულია და მოწყობილია მეტად დამაკმაყოფილებლად.

რაც შეეხება ლეგიონის კავშირს სამოქალაქო ორგანიზაციებთან, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ლეგიონმა დიდ შედეგებს მიაღწია.

საბჭოთა პარტორგანიზაციების მონაწილეობა ცვალებადელთა შეკრებაში წითელი ზოლივით აჩნია ლეგიონის მთელ მუშაობას.

დაწყებული ადგილობრივ ორგანიზაციების აქტიური მუშაობიდან გაწვევის წინა პერიოდში, როგორც მაგალითად ცვალებადელთა გათვითცნობიერება შეკრების შესახებ, კრებების, მიტინგების მოწყობა, მოწყობა ცვალებადელთა გაცილების შესაკრებ წერტებზე და სხვა, და გათავებული ყაზარმების მოწყობით ცვალებადელთათვის ლეგიონის მომარაგების გზით სხვა და სხვა მასალებით და ფულებით,—ყველა ამაში სჩანს ადგილობრივ ორგანიზაციების მზრუნველობა და შეგნებული მოპყრობა ტერიტორიალურ აღმშენებლობის საქმისადმი.

თუ რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ტერაღმშენებლობის პირველ ხანებში ადგილებზე იყო ერთგვარი ორგანიზაციული გაურკვევლობა ლეგიონსა და სამოქალაქო ორგანიზაციების ურთიერთობაში, ეხლა ტერაღმშენებლობის საკითხების პრაქტიკულად განხორციელების პროცესში ეს გაურკვევლობა უკვე აღარ არის და ამით საკმარისად აიხსნება ის წარმატება, როგორითაც ტარდება 1902 წელში დაბადებულ ცვალებადელთა პირველი შეკრება საერთოდ საქართველოში და კერძოდ მე-5 ტერლეგიონში.

დასასრულ რამოდენიმე სიტყვა საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ ცვალებადელთა შორის.

ათეულის ყველა წერტებში მოწყობილია ლენინის კუთხეები სამხედრო განყოფილებებით.

კუთხეებში მუშაობა ყოველდღიურად სწარმოებს უფპოლიტშემადგენლობის ხელმძღვანელობით; კუთხეები მომარაგებულია ლიტერატურითა და გაზეთებით.

სამწუხაროდ ძალიან ცოტაა სამხედრო ლიტერატურა სამშობლო ენაზე.

წ. კ. უცოდინარებსა და მცირე მცოდნეთა შორის სწარმოებს განსაკუთრებული მეცადინეობა. აგვისტოს ბოლოსთვის წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია გაუკეთდება

შეკრებათა შორის მომავალ მუშაობისათვის უკვე დაწყებულ იქნა აქტივის შედგენა ცვალებადელთა რიცხვიდან. ეს აქტივი, რომელთანაც სწარმოებს სათანადო მუშაობა, გახდება ერთი არსებითი შემაერთებელი რგოლი კადრისა ცვალებადელებთან.

საერთოდ სჩანს დიდი და სერიოზული მუშაობა, რომელიც ნებას აძლევს ლეგიონს მოკლე დროში დიდის წარმატებით დაიკავოს საორგანიზაციო პოზიციების მთელი რიგი ტერაღმშენებლობის განხორციელების გზაზე საქართველოში.

ნ. დმიტრიევი.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## ჩვენი სკოლის საქმიანობა.

მეექვსე ლეგ. უმცროს მეთ. სკოლა.

პოლიტ-სამეცადინო დარგი.

კურსანტების მთელი შემადგენლობა თავიდანვე სამ კატეგორიათ იქნა დაყოფილი ცოდნისდა მიხედვით. გამოყოფილ იქნა ცალკე ორი ჯგუფი მცირე და არა მცოდნე კურსანტებისა, პირველი 27 კაცი, ხოლო მეორე 18 კაცის შემადგენლობით, რომლებთანაც პოლიტსამეცადინო საათებს გარდა, თვით სკოლის კურსანტებთან სათანადო ხელმძღვანელების მიმაგრებით ზედმეტად ნაშუადღევის თავისუფალ საათებში თავიდანვე სწარმოებს მეცადინეობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩასატარებლათ, სადაც სასურველი მიღწევებია. არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ არის ამ ჟამად.

სპეციალური დანიშნულების მიზნით გადმოგზავნილ იქნა სკოლაში ოსეთის ჯგუფი ათი კაცის შემადგენლობით, რომელთაც მეცადინეობა ძლიერ უჭირთ, ვინაიდან სამშობლო ენის გარდა სხვა არც ერთი არ იციან. მიღებულია სათანადო ზომები. მათთან პოლიტსაათის ჩასატარებლად გამოყოფილია ორი ოსი ამხანაგი, რომლებიც ოსურ ენაზე და ქართული ენის ზეპირი გადაცემით აწარმოებენ ზედმეტ საათებში მეცადინეობას, რაიც, ალბათ, სასურველ შედეგებს მოგვცემს. საერთოდ თავიდანვე, განსაკუთრებით კი ამ ჟამად პოლიტმეცადინეობა სასურველ დონეზე არის დაყენებული. სკოლის ახალ ბინაზე გადასვლის შემდეგ ყოველი ჯგუფი ცალკე ოთახებში იქნა მოთავსებული. ტეხნიკურად და სასკოლო ნივთებითაც უზრუნველყოფილი ვართ.

მეცადინეობა მიმდინარეობს კომპლექსიურ-მეთოდით სისტემატიურად ყოველ დღე შაბათობით ტარდება სანსაათები თემების დამზადება ხდება წინასწარ ყოველ დღე პოლიტლექტორთა თათბირებზე. ჯგუფებში თვითეულ თემის ახსნა-განმარტების შემდეგ კურსანტების მიერ სწარმოებს საუბრის მთავარი თეზისების რვეულებში ჩაწერა.

კურსანტები დიდი ხალისით ეკიდებიან მუშაობას და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ პოლიტლექტორებისადმი მიცემულ შეკითხვებით. განვლილ მეცადინეობის შეთვისება დამაკმაყოფილებელია 65 პროცენტით. ცოტათი მოისუსტებს მესამე მცირე მცოდნეთა ჯგუფი.

ვ. ლ—ძე.

## ჩვენი ათასეულის ავ კარგი.

მე-4 ლეგიონი.

4 ქარ. მს. ტერლეგიონის 2 ათასეულში, ცვალებად წითელ-არმიელების მიღებიდანვე სწარმოებს მეცადინეობა, როგორც პოლიტიკურ, აგრეთვე სამხედრო საქმეშიც. წითელ-არმიელები ძალიან გულმოდგინეთ და შეგნებულათ ეკიდებიან ამ დიად საქმეს და კარგი ნაყოფიც გამოიღო. მაგალითად, გვქონდა სროლა, რაც დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. გარეგნული შეხედულებაც დამაკმაყოფილებელი აქვთ. ასე ეგონება უცხო ვინმემ ნახოს, რომ ორი თვის კი არა ერთი წლის მოსულები იქნებიანო. ძალიან ხალისიანათ ეკიდებიან პოლიტიკურ-მეცადინეობასაც. ათასეულში არის ჩამოყალიბებული შემდეგი წრეები: წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა, სამხკორთა, მომღერალთა და დრამ წრე აქაც ძლიერ ხალისიანად ეკიდებიან ცვალებადელნი მეცადინეობას. მაგალითად, არის ისეთი შემთხვევა, სრულებით წერა-კითხვის უცოდინარი რომ მოვიდა, დღეს თავის ხელით ნაწერს გზავნის ოჯახში. ათასეულის დრამ-წრე ხშირად დგამს შინაარსიან წარმოდგენებს და კარგ ძალასაც წარმოადგენს.

წრემ რამდენიმე დღეა რაც შესწყვიტა მუშაობა. ამის მიზეზი ისაა, რომ ამდენი ხანს ათასეული სარგებლობდა ადგილობრივი ტეხნიკუმის კლუბით. ამ რამოდენიმე დღის წინათ ეს უკანასკნელი ჩამოგვართვა მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების გამგემ.

არც იმუშავეს ჩვენთან მასწავლებლებმა და არ მუშაობენ თვითონ. ნათხოვნი გვაქვს ადგილობრივი ხელისუფლებისათვის რომ, დაგვითმონ ხანდახან თეატრის შენობა.

მეთაური ს, ნიშნიანიძე.

## გამოუშვით ორკვირეული გაზეთი „წითელი მხედარი".

1-ლი ლეგ. მეორე ასეული.

დიდი ხანია, რაც კედლის გაზეთის გამოშვებას ვფიქრობდით. მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო არ მოხერხდა. 4 აგვისტოს წადილი აგვისრულდა. გამოუშვით ასეულის კედლის გაზეთი „წითელი მხედარი" №1 გაზეთი დიდი ფორმატისაა, სუფთად და გარკვეულად არის ნაწერი.

გაზეთში არის მოწინავე, რომელშიაც გაშუქებულია საერთაშორისო მდგომარეობა და მთელი რიგი წერილებისა ასეულის ცხოვრებიდან. არის იუმორისტული განყოფილება, რომელიც ძალიან აინტერესებს წ. არმიელებს. გაზეთში თანამშრომლობენ მეტ ნაწილად წ. არმიელები. საზღვარი არ ქონდა წითელ-არმიელების სიხარულს, როდესაც წაიკითხეს თავიანთი პატარა წერილები. უსურვებ ამხანაგებს ნაყოფიერ მუშაობას.

ახალწვეული კალისტრატე მინდიაშვილი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## როგორ ვმეცადინეობთ.

1-ლი ლეგიონი.

მეცადინეობა გათავებულია, ჯგუფ-ჯგუფად მოგროვილი წით. არმიელები მხურვალედ მსჯელობენ რაღაც საგანზე. არის აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ერთი იძახის:—აი დღევანდელ გაზეთში ეწერა, რომ გასულ წლის მაისში გამოწვეულები ამა წლის შემოდგომაზე იქნებიან დათხოვნილი უვადო შვებულებაშიო, და როგორც ეტყობა, ცოტა დრო დაგვრჩენია, მაგრამ როგორც დღემდე, არც ეხლა ერთ წუთსაც არ მოვცდები სწავლას, რადგანაც, როგორც ამხანაგმა პოლიტხელმა მითხრა ჩვენ უვადო შვებულებაში მიმავალთ ბევრი რამეების გაკეთება გვევალება სოფლად.

ჩვენ ამხანაგო—ამბობს მეორე,—უნდა მივიღოთ მონაწილეობა საბჭოს არჩევნებში სოფლად და ვადევნოთ თვალყური მის მსვლელობას, რომ არ შეგვეპარონ საბჭოში ისეთი ელემენტები, რომლებიც მოინდომებენ ჩვენთვის ავს. ამასთან ერთად უნდა მივიღოთ მონაწილეობა სოფლად კოოპერაციის საქმეებში და მისი მნიშვნელობა უნდა გავაცნოთ გლეხობას.

უნდა შევუწყოთ ხელი სოფლის მეურნეობის აღორძინებას, ბიბლიოთეკების გახსნას და მრავალ სხვას. და თუ ჩვენ გულგრილათ მოვკიდეთ ხელი საქმეს პოლიტხელისავ არ იყო, მაშინ მართლა დაგვამარცხებენ მტრები.

მართალია, მართალია—ისმის აქედ-იქედან წითელ არმიელების ხმა,—დარჩენილი დრო ტყუილ-უბრალოთ არ უნდა დავკარგოთ.

— წავიდეთ და ვსთხოვოთ პოლიტხელს,—ურჩევს სხვებს ერთი წითელ არმიელი-ერთი წიგნი მაქვს და იმის კითხვაში დაგვეხმაროს.

მართალია მეცადინეობისთვის განსაზღვრული დრო გათავებულია, მაგრამ ის ისეთი გულკეთილია, აუცილებლად აგვიხსნის ზოგიერთ გაუგებარ წინადადებებს, რომელიც შეგვხდება წიგნში.

პოლიტხელი დასთანხმდა. გროვა წითელ არმიელებისა მიდის სიცილხარხარით, სადმე ჩრდილში მეცადინეობის დასაწყებად.

შლის წითელი არმიელი წიგნს და იწყებს კითხვას, დანარჩენი ყურს უგდებენ.

— უკაცრავათ, ერთი შეკითხვა,—მიმართავს ერთი არმიელი თუ 1848 წელში იყო გლეხთა მოძრაობა უსამართლოების წინაამდეგ, რატომ დღემდე ვერ შესძლეს ყოველივე უბედურების თავიდან ასცილება და სამუდამოდ განთავისუფლება ასეთი უღლიდან?

შეკითხვა სერიოზულია. პოლიტხელი იღებს სიტყვას და უხსნის ამის მიზეზებს.

გათავდა მეცადინეობა წითელ არმიელები იშლებიან.

ამოკითხვის დროც მოახლოვდა. გაისმის ნიშანი ამოკითხვისა. მწკრივში დამდგარი წითელ არმიელები მღერიან ინტერნაციონალს ამოკითხვის შემდეგ ზოგი გაზეთებს კითხულობს, ზოგი მღერის და დანარჩენი ცეკვა-თამაშს შეექცევიან.

სამხკორი მ. თ—რია.

## ორი დღე ოცდამეერთე სკოლაში

ეს სკოლა ყველა ამიერ-კავკასიაში არსებულ ნაციონალურ სკოლებისთვის მაგალითია მუშაობის ყველა დარგში. საგრძნობი მიღწევები აქვს მას საკლუბო საქმეშიც.

აღნიშნულ სკოლის ამ უკანასკნელ დარგში მუშაობა მსურს აღვნიშნო, იგი სანიმუშოა და უეჭველად—საყურადღებოაცა.

27 ივლისს დილიდანვე დიდ მზადებაში იყო მესამე ასეული; მას მორიგი „თვით-მოქმედებითი საღამო" უნდა ჩაეტარებია.

სცენა მოწყობილია გზის პირას.

დილიდანვე სცენაზე კურსანტები რეპეტიციას გადიან.

- —კიდევ ერთხელ მოვასწროთ რეჟისორის მოსვლამდე- ამბობს ერთი კურსანტი და რეპეტიციას თავიდან იწყებენ.

„საღამოს" ირგვლივ შრომა განაწილებულია მონაწილეთა შორის. ყველამ იცის როდის რა გააკეთოს.

შრომის განაწილება ხდება კლუბის უფროსის და აქტივისტთა რწმუნებულის მიერ.

სადილის შემდეგ კურსანტები კლუბის უფროსთან შეთანხმებით სხვა და სხვა ნაწილებსა და ნაცნობებს „მოსაწვევ ბარათებს" უგზავნიან.

დადგმული იქმნა „თეთრი ემიგრაცია" (მეტად კომიკური ინსცენიროვკა), რომელმაც ნათლად დაანახვა მაყურებლებს თუ რა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნენ საბჭოთა ქვეყნებიდან გაქცეულნი—„ბედის მაძიებელნი", და თუ როგორი მოწიწებითა სთხოვენ ისინი ერთ-ერთ ცირკის გამგეს—ცირკში კლოუნებათ და სხვა თანამდებობაზე მიღებას!..

აღსანიშნავია, რომ მეოცდაერთე სკოლა ისეთ მასალებს ეტანება, რომელიც ფართო მასას და განსაკუთრებით ნაციონალურ ნაწილებსაც დააინტერესებს.

ამის დამამტკიცებელია „ივან ჯან"-იც.

ამ ინსცენიროვკის შესავალი ალებუმი იყო „ცირკის ნომრებიდან" და მეტად ლამაზიც გამოდგა.

იყო აგრეთვე „ცოცხალი გაზეთი" მანევრებისა და საბანაკო ცხოვრებიდან, ამბები, კურსანტთა საკუთარი ლექსები... ფელეტონი, კუპლეტები... ცეკვა-თამაში, მუსიკა და სხ.

მაყურებელთა შორის კურსანტთა და წითელ არმიელთა გარდა იყვნენ მუშებიც „დასასვენებელ სახლიდან" და სხ.

მაყურებელნი კმაყოფილნი დარჩნენ.

საყურადღებო იყო ამ „საღამოს" შესავალი სიტყვაც, რომელიც ერთ-ერთმა კურსანტმა წარმოსთქვა.

იგი შეეხო ასეთი „თვით-მომქმედ საღამოების" მიზან-ამოცანებს.

მან მოკლედ აღნიშნა, თუ როგორ შექმნეს აღნიშნული საღამო და რა საშუალებები იხმარეს.

—ჟურნალ-გაზეთები და საკუთარი დაკვირვება, საკუთარი ძალები, აი ჩვენი „საღამოს" სულის ჩამდგმელიო, აღნიშნა მან და ფარდაც აიხადა.

მეტად კმაყოფილი დავრჩით ამ დღეს მეოცდაერთე სკოლის ბანაკში ყოფნით!

სამხკორი ჩვენი.

## სასმელი წყალით უზრუნველ გვყავით!

1-ლ ლეგიონი

1-ლ ქართულ მსრ. ლეგიონში აგერ ერთი თვეზე მეტია, რაც წყალს მოკლებული ვართ. გათენდება თუ არა (ხან ღამეც) წყალი ონკანში წყდება და მთელი დღის ბანმავლობაში ლეგიონი უწყლოდ რჩება. უწყლობა საერთოდ ძნელია, მაგრამ ეხლა, ამ სიცხეებში, პირდაპირ აუტანელია.

ზაფხულში ხშირად გვიხდება ალლუმებზე სიარული და იქიდან დაბრუნებული დაღლილი, დასიცხული წითელ-არმიელები, როცა ონკანში ვერ ნახავენ წყალს მივარდებიან უსუფთაო, მლაშე მდინარის, რომელიც ჩამოუდის ლეგიონს გვერდით, წყალს და ხარბად სვამენ. უსუფთაო წყალმა შეიძლება ავადმყოფობა გაუჩინოს წითელ-არმიელებს.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება, რომ მთელი დღის განმავლობაში წყალი ქონდეს ლეგიონს, თუ ეს არ მოხერხდება რაიმე მიზეზით იმ შემთხვევაში გაკეთებულ იქნეს წყლის მარაგი.

ახკორი ი. ზუმბაძე.

## რაც დაგვაკლდა მოგვეცით.

ტერიტორიალურ სამმართველოს სამნეო ნაწილის უფროსი ამხ. მელითაური ნაკლები ყურადღებით ექცევა წითელ არმიელებსა და მათთვის ის არა ზრუნავს.

ყოვლად შეუძლებელია, რომ ჩვენ წითელ არმიელებმა, რომლებიც ვმსახურობთ თვით ტერიტორიალურ სამმართველოში და საქართველოს სამხედრო სამაზრო კომისარიატებში, ტანთსაცმელი თავისდროზე მივიღოთ. აუცილებლათ ორი ან სამი თვე უნდა დააგვიანდეს სხვა ნაწილებთან შედარებით.

უკვე კარგა ხანია მას შემდეგ, რაც გაზაფხულისთვის ნაწილებში ტანთსაცმელი დარიგდა და ჯერ კიდევ თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატში მყოფ წითელ არმიელებს ტანთსაცმელი სრულად არ მიუღიათ. მართალია მოგვცეს რამოდენიმე ნაწილი კუთნილი ტანთსაცმელისა, და დანარჩენის მოცემაც დაგვპირდენ მალე.

დაპირების შემდეგ უკვე მეოთხე თვე გადის და მელითაურის დაპირებული ტანთსაცმელი არსადა სჩანს.

და როდესაც მოვსთხოვთ ახსნა განმარტებას იმის შესახებ, თუ რა მიზეზით აგვიანებს დანარჩენ ტანთსაცმელის დარიგებას ის სხვა-და-სხვა მიზეზებით გვისტუმრებს გარედ. მიზეზები მას აღარ ელევა და ჩვენ კი ვიმყოფებით უსაცვლოთ.

მუდამ ასეთ გაჭირვებით ვღებულობთ.

გვიპასუხეთ თუ რატომ და რა მიზეზით ხდება ეს ყოველივე.

დროა ასე უყურადღებობას ბოლო მოეღოს.

გადამწერთაგანი.

### ამხ. ჭანტურიშვილის წერილის გამო.

ამხ. ჭანტურიშვილმა გაზეთ „წითელ არმიელში" მოათავსა მეტად საყურადღებო წერილი, რომელშიაც მოითხოვს, რომ დივიზიის მაშტაბით მოხდეს შეჯიბრება სკოლის გარეშე მუშაობის დარგში. ასეთი შეჯიბრება, თავისთავად ცხადია, კარგია, რადგანაც აქ ამხანაგები გაეცნობიან სხვა და სხვა ნაწილის ყოფა-ცხოვრებას და მათ სკოლის გარეშე მუშაობის კულტურულ მიღწევებს.

მაგრამ, ჩემის აზრით, მარტო ეს არ კმარა. ამ შეჯიბრებასთან ერთად საჭიროა, რომ ნაწილების ერთი მეორესთან—დაახლოვების და მათი ცოდნისა და გამოცდილების გამორკვევის მიზნით, ხშირ ხშირად იმართებოდეს—არმიისა და ფლოტის ბალში და ცენტრალურ კლუბში შეერთებული ძალით საღამო—წარმოდგენები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა აქაც ესწრებოდეს ნაწილი წითელ არმიელებისა სხვა და სხვა ლეგიონებიდან. ამრიგათ, შეჯიბრებასთან ერთად, რომელიც—პირველ რიგში უნდა დაისვას, ამ საკითხებსაც მიექცეს სათანადო ყურადღება. რომ მეტი ცოცხალი და უშვალო კავშირი იყოს ნაწილებს შორის.

მე-2 არტ-ლეგიონის კლუბის უფროსი კალანდაძე.

# პარტიული ცხოვრება.

## კომუჯრედების გაერთიანებული კრება.

### მეექვსე ტერ-ლეგიონი.

ჩვენი ტერ-ლეგიონში სისტემატიურად ეწყობა როგორც ცალ-ცალკე უჯრედების, ისე მთელი ლეგიონის მაშტაბით გაერთიანებული უჯრედების კრებები ლენ-ახკომკავშირის წევრებთან ერთად. დღის წესრიგში სხვა და სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის ისმება საკითხები ნაწილის პარტორგანიზაციის ყოფა-ცხოვრებიდანაც, რომელთაც აყენებენ თვით უჯრედის წევრები.

ამ სამი დღის წინათ შესდგა ლეგიონში არსებულ ყველა ასეულების კომუჯრედების გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო პარტ-ამხანაგების გარდა ახკომკავშირის წევრებიც. დღის წესრიგში დასმულ საკითხთა შორის უმთავრესი საკითხები იყო შემდეგი: 1. კომუჯრედი და ნაწილის აღმშენებლობა, 2. ლეგიონის პასუხის მგებელ პარტკორების ამორჩევა ყველა ნაციონალურ შემადგენლობიდან.

პირველი საკითხის გარშემო რუსულ და ქართულ ენებზე ილაპარაკა ლეგიონის სამხკომმა ამხ. ცინცაძემ, რომელიც შეეხო თუ როგორი ხელმძღვანელობა უნდა გასწიოს საერთოდ უჯრედმა ნაწილის აღმშენებლობაში, თვითეულ უჯრედის წევრის და საერთოდ მთელი უჯრედის გასამხედროვება. პარტიის წევრი, კანდიდატი და ლენ-ახკომკავშირის თვითეული წევრი უნდა იყვეს ნაწილში სამხედრო დისციპლინის განმტკიცებაში მაღალი თის მაჩვენებელიო—აღნიშნა ამხ. მომხსენებელმა; აგრეთვე ის შეეხო კავკასიის წით. დროშოვან არმიის მაშტაბით მომხდარ მდივნების თათბირის დადგენილებების მუხლებს ჩამოთვლილი საკითხის გარშემო და მოყავს მთელი რიგი მითითებები, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღოს კომუჯრედმა ნაწილის აღმშენებლობაში.

მოხსენების ირგვლივ გამოტანილ იქმნა შესაფერი რეზოლიუცია, რომელშიდაც ნათქვამია, რომ მთელი ლეგიონის გაერთიანებული პარტიული კრება ყოველ ღონისძიებას იხმარს, რათა ნაწილში პარტდისციპლინასთან ერთად განმტკიცებულ იქნას სამხედრო დისციპლინაც; რაც შეეხება კომუჯრედის მონაწილეობას ნაწილის აღმშენებლობაში საქსებით იხელმძღვანელებენ არმიის უჯრედების მდივნების თათბირზე მიღებული დადგენილებებით. მეორე საკითხის შესახებ, პარტკორის მოვალეობაზე გაკეთებულ იქმნა მოხსენება სხვა და სხვა ნაციონალურ ენებზე, რის შემდეგ ლეგიონის პასუხისმგებელ პარტკორებათ ამორჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

1. ქართველებიდან ამხ. ასათიანი, 2. სომხებიდან ამხ. სარუხანოვი, 3. რუსებიდან ამხ. ავეტისოვი და 4 თათრებიდან ამხ. ალექპეროვი.

იმედია აღნიშნული ამხანაგები პირნათლად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და სისტემატიურად მიაწოდებენ სხვა და სხვა ნაციონალურ გაზეთებს კორესპონდენციებს ნაწილის პარტიული მუშაობის შესახებ.

პარტკორი ნ. ა.

# ბიბლიოგრაფია.

ეტიუდების კრებული „წითელი-სანათით" ავტორის 1. შავგულიძე, წიგნი პირველი. ტფილისი 1925 წელი.

ამ უკანასკნელ ხანებში ქართულ ლიტერატურის საქმე მეტად კარგს დონეზე სდგას. გამოცემულია მრავალი მხატვრული ნაწარმოები, რომელნიც თავის ნიშანდობლივ თვისებათ ატარებენ ყოფაცხოვრების გაშუქების საკითხს.

„წითელი სანათი"—ეს რეალური სურათია წარსულ სინამდვილისა; ეტიუდები, რომლებიც ცალცალკე სათაურის მატარებელია, სრულებით არ ღალავს მკითხველს, არამედ უფრო მეტი ინტერესით იკითხება. ავტორის სტილი სრულიად მიზანშეწონილია და დროულია; მისი ფრაზები ჩვეულებრივ-სალაპარაკო ენაზეა ჩამოყალიბებული და მისი გაგება, რა გინდ მომზადების არ იყოს მკითხველი, შეუძლია.

პირველი ეტიუდი „წითელი სანათი"—საუკეთესო გამომხატველია იმპერიალისტურ ომის შედეგებისა სოფელში: აქ დახატულია გლეხი თავის ფსიქოლოგიურ აზროვნებით და მთელი შინაარსი გაჟღენთილია საშინელი ტრაგიზმით.

ქორწინება ლანდებთან—გარეგნულად თითქოს ფანტასტიურია, შინაარსით კი მაღლა სდგას: მოცემული სურათი ანსახიერებს ქორწინების აზიურ ხასიათს და ჯერ კიდევ ჩვენს სოფელში არსებულ ჩვეულებას ჯვრის წერას, ეკლესიაში მოლოცვებს და სხვა.

„წითელი ძეგლი"-ს შინა ბუნებაში რევოლიუციონური შტრიხებია გავლებული, აქ ლადო პირველი პროპაგანდისტია მშრომელ გლეხობას მოსახლეობაში და შემდეგ ჯარის კაცებს შორის რევოლიუციის იდეებისა. გამოყვანილია სოფლის „ბობოლა" გლეხი—იაკინთეს სახით და უღარიბესი გლეხი—მოჯამაგირე, რომელიც მოჯამაგირეობას ეწევა—ქის მთხრელი ბესო. აქაც სოციალურ უკულმართობის მთლიანი ასახვაა.

„უპატრონო ჯორი"—სურათია იმ რეფორმაციის, რომელიც მოხდა საბჭოთა ხელისუფლების დროს ეკლესია-მონასტრებში. ეკლესია დაუხურეს როსტომ-მღვდელს და „ჯორიც" უპატრონოდ დარჩა,—ეს დამახასიათებელი ნიშანია სამღვდელოებისა.

„ალერისა" და „ქალი სარკესთან" —მხატრულად არის გამოხატული, ფანტაზია ძლიერ გრძნობებშია გამოთქმული.

დასასრულ „უკანონო მასპინძლები" —რეალურ საზომშია აღებული; სადაც საუკეთესოდ დასურათებულია ომი, რომელმაც ეკონომიურად გაანადგურა სოფელი, და სოფლელი მოსახლეობა საშინელ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. ფსიქოლოგიურ მოსაზრებით ძლიერ სურათს წარმოადგენს ავტორი ს. შავგულიძე, თავის პირველ წიგნი „წითელი სანათით" დიდს იმედებს იძლევა და ამართლებს მაზედ დაკისრებულ ამოცანებს; იმედი გვაქვს მეორე მესამე წიგნით ავტორი კიდევ უფრო გაამდიდრებს ქართულ ხელოვნების საგანძურს.

დ. პანტურიშვილი

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** მე-5 ლეგიონის მე-2 ასეულში ვმუშაობ მეკუჭნავედ, ჯამაგირს კი ვღებულობ ექვს აბაზს, როცა სხვა მეკუჭნავეები მეტს ღებულობენ. გთხოვთ მიპასუხოთ მეტი მერგება თუ არა?

**ვ. მაღრაძე.**

**პასუხი.** ვინაიდან ასეულს შტატით არ ეკუთვნის მეკუჭნავე, ამიტომ თქვენ ზედმეტი ჯამაგირი არ მოგეცემათ.

**ამხ. ნ. ნადირაძეს.** ვინაიდან დისციპლინარული წესდება ჯერ არ არის გამოსული, ამიტომ მიმართეთ დივშტაბის უფროსს საკითხის გამოსარკვევად.

**კითხვა.** როდემდის უნდა იმსახუროს 1901 წ. დაბადებულმა და 1924 წ. ოქტომბრის რიცხვებში გამოწვეულ წითელ არმიელებმა?

**მ. ბოცვაძე.**

**პასუხი.** ამის შესახებ განსაკუთრებული განკარგულება იქნება გამოცემული.

**კითხვა.** უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებს მიეცემა თუ არა მაზარა, ჩექმები, ხალათი და სხვა.

**წ. ა. ვ. მეგრელი.**

**პასუხი.** ამის შესახებ იქნება ბრძანება. ისე კი, ვისაც არ აქვს საკუთარი ტანსაცმელი მიეცემა მეორე ხარისხის, შეკეთებული.

**კითხვა.** მეორე ხარისხის ტანსაცმელი წითელ არმიელის საკუთრებას შეადგენენ თუ არა?

**წ. არ. Z.**

**პასუხი.** ტანსაცმელი ნაწილის საკუთრებათ ითვლება.

**კითხვა.** ჩემი ოჯახური მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურიდან ვიქენ განთავისუფლებული, მაგრამ ჩემი სურვილით დავრჩი სამსახურში. შემიძლია თუ არა გავიდე უვადო შვებულებაში, როგორც 1904 წ. დაბადებული?

**ალ. თანგიშვილი.**

**პასუხი.** თავის სურვილით შესულ მოლაშქრემ უსათუოდ ერთი წელიწადი უნდა იმსახუროს. შემდეგ, სამი თვით ადრე უნდა განაცხადოს, რომ ის არ რჩება და სურს წასვლა.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ახალი „გასაცოცხლებელი" საშუალება.**

მოულოდნელი სიკვდილი ადამიანისა საოპერაციო მაგიდაზე იშვიათი შემთხვევა არ არის. ასეთი შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლაში ქირურგია უკანასკნელ წლებში ახდენს სასწაულებს, პირდაპირ ამ სიტყვის მნიშვნელობით.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც აღმოჩენილი იქნა ახალი ხერხი საოპერაციო მაგიდაზე მომკვდარ ადამიანის გასაცოცხლებლად.

ერთგვარ ხსნილს—ანდრენალინას გრძელი და წვრილი ნემსით უშვებენ გულის კუნთოვან ქსოვილებში და ამგვარად განგმირულ გულის წინა ნაწილს შეუძლია გააცოცხლოს თითქმის ნახევარ საათის გარდაცვლილი გვამი.

ეს ხერხი საზღვარ გარედ განვითარებულ იქნა და ამჟამად იხმარება ეპინეფრინის სახელწოდებით, რომელიც ახდენს სულ ახალ-ახალ სასწაულებს.

მაშინ როცა არც კამფორის კანქვეშა შეშხაპუნებას, არც სტროფატინის სხეულში შეშხაპუნებას, არც ხელოვნურ სუნთქვასა და სხვა ზომებს არ შეუძლიათ ოპერაციის დროს მკვდარ ადამიანის გაცოცხლება,—ეპინეფრინის შეშხაპუნებას გულის კუნთოვან ქსოვილებში შეუძლია აღადგინოს 20 წამის განმავლობაში მოქმედება გულისა და ფილტვების, და შესცვალოს მკრთალი—ყვითელი ფერი ნორმალურ მოწითლო—ვარდისფრად.

**ახლად დაწყებული ფილტვების ჭლექის შეტყობა.**

ვენის ექიმ კარპლიუსმა მიაქცია ყურადღება იმ თავისებურ მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს ფილტვების ჭლექის პირველ საფეხურის დროს. ჭლექის ამ პირველ საფეხურის დროს ექიმებს დღემდე არსებულ ხერხის საშუალებით არ შეეძლოთ გაერკვიათ რაიმე ცვლილება ფილტვებში. ეხლა კი ამის გამორკვევა შესაძლებელია და აი როგორ: ავადმყოფს გამოათქმევინებენ ხმოვან ბგერებს—„ა" „ო" და სხვ. და იმავე დროს ექიმი ყურს უგდებს სტეტოსკოპით (საექიმო მილი) გულის უჯრედს.

თუ ადამიანის ფილტვებში ადგილი აქვს პირველ საფეხურის ჭლექს, მაშინ ავადმყოფის მიერ წარმოთქმულ ხმოვან ბგერე'ის მაგივრად ისმის სხვა. მაგალითად: „ე"-ს მაგივრად ხშირად ისმის „ი" ან „ა", „ო"-ს მაგივრად—„ა", „უ"-ს მაგივრად—„ა" ან იშვიათად „ი" და სხვა...

ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ჭლექით დაავადმყოფებულ ფილტვების ბგერითი გამტარობა განირჩევა საღი ფილტვების გამტარობისაგან, რადგან ავადმყოფ ფილტვებში დაგროვილია ლორწოიანი ნივთიერება.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6-ე ლეგიონის № 4 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ ამავე ლეგიონის უფროს მასწავლებელს მიხეილ ალექსანდრეს-ძე ჯაფარიძეს, მცხოვრებ სამხრეთ ოსეთის, საშვალო განათლებით, ინტელიგენტი, სხვა პარტიაში, როგორც თვითონ აცხადებს, არ ყოფილა.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მისი პარტიაში მიღების შესახებ. გთხოვთ აცნობოთ მე-6-ე ლეგიონის № 4 უჯრედის მდივანს 10 დღის განმავლობაში.

**მე-6-ე ლეგ. № 4 უჯრედის პასუხის მგებელი მდივანი.**

---

მე-6 ტერლეგიონის მე-10 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ წითელ არმიელს ქუთაისის მაზრის მცხოვრებს ამხ. პარმენ გელაზონიას. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, ვსთხოვთ გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-6 ტერლეგიონის მე-3 ათასეულის მე-10 კომუჯრედში.

---

შემოსულია განცხადებები მე-3 ქართულ მსრ. ლეგიონის პარტბიუროში—კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგი ამხანაგებიდან: 1. წით. ლაშქრ. აკოპაშვილი სიმონი მიტოს ძე, ბორჩალოს მაზრის, სოფ. რატევანი, 2. ლონდამაშვილი სტეფანე გიორგის ძე, ბორჩალოს მაზრა, სოფ. რატევანი, 3. ბერიძე ალექსანდრე ბეგლარის ძე, ლეჩხუმის მაზრა, სოფ. ზუბი, 4, თავდიშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე, ოზურგეთის მაზრა, სოფ. პატარა ოზურგეთი, 5. რობაქიძე ვასილი ბესარიონის ძე, ქ. ქუთაისის მცხოვრები. 5. კოსტავა დავითი იაკობის ძე, ქუთაისის მაზრა ფარცხანაყანების თემი, 7. პაპავა კონდრატე ალმასხანის ძე ზუგდიდის მაზრა. სოფ. ხორგა, 8. ჯიოვი ნიკოლოზი პავლეს ძე, ცხინვალის მაზრა, სოფ. ციბთათის, 9. ხუბეჟოვი თანაოზი მიხეილის ძე, ცხინვალის მაზრა, სოფ. სამწყაროში, 10. ზარიევი ივანე იაგორის ძე, ქ. თბილისის მაზრის. თუ ვინმეს მოგეპ ებათ ზემოხსენებული პირებზე უარყოფითი ცნობები გთხოვთ გვაცნობოთ მე-3 ქართ. მსროლელ ლეგ. პარტბიურო კოლექტივში ერთი კვირის განმავლობაში დღიდან გაზეთში გამოცხადებისა.

---

მე-2 ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ-პარტიის კანდიდატებს პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ. თუ ვინმეს მოეპოება უარყოფითი ცნობები მათი პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ მე-2 ქ. მ. დივ. ცალკე მესანგრე ასეულის კომ-უჯრედში ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, სიტყვიერად ან წერილობით. უსახელო წერილები არ მიიღება.

1. კოდანოვი ლევან ილიას-ძე, მესანგრე ასეულის ზემდეგი. ქ. თბილისის მცხოვრები, კომ. პარტიის კანდიდატი 1925 წ. იანვრ. 2. ჯაფარიძე ილარიონ, წ. ა., ათის თავი, რაჭის მაზრის მცხოვრები, კომ. პარტიის კანდიდატი 1925 წ. იანვრიდან. 3. მოწონელიძე ალექსანდრე მეთოდეს-ძე, წ. ა., ათის თავი, რაჭის მაზრა, ახ. ლ. კომ-კავშირის წევრი 1921 წლიდან და კომუნისტური პარტიის კანდიდატი 1925 წლის იანვრიდან.

**უჯრედის პას. მგ. მდივანი.**

---

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ს. სამხედრო სტამბა 18 ... ელის ქ. № 3.